# კოლხური თეთრის ტოპოგრაფია

ანა ბერბიჭაშვილი

„სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე არქეოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად“

სამაგისტრო პროგრამა: არქეოლოგია

სამეცნიერი ხელმძღვანელი: მაია პატარიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

„როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირეული სათანადო წესების შესაბამისად“.

ანა ბერბიჭაშვილი, 2020

# აბსტრაქტი

ნუმიზმატიკის შესწავლის ძირითადი წყარო მონეტები და სამონეტო განძებია. ამ სამეცნიერო დისციპლინას  გარკვეული უპირატესობაც ენიჭება, ვინაიდან მონეტის მოჭრა სახელმწიფოს მიერ განხორციელებული აქტია და შესაბამისად მონეტა იურიდიული ხასიათის ზუსტი დოკუმენტია, რომელსაც უტყუარი ინფორმაციის მოწოდება შეუძლია. საქართველოს ისტორიის სრული სურათის აღსადგენად აუცილებელია დეტალურად შევისწავლოთ ყველა ის მონეტა თუ სამონეტო განძი, რომელიც ოდესმე მოხვედრილა საქართველოს ტერიტორიაზე. მათი აღმოჩენის ადგილის და გარემოების დაფიქსირებით. ამა თუ იმ მონეტების გავრცელების არეალით (ტოპოგრაფიით) მეცნიერება იღებს ინფორმაციას, რომელიც მას მომავალში მთელი რიგი კარდინალური საკითხების გადაჭრაში ეხმარება. კერძოდ, ქვეყნის სრული ეკონომიკური და პოლიტიკური სურათის აღდგენაში კონკრეტული მონეტების ტოპოგრაფიას დიდი როლი აქვს.

წინამდებარე სამაგისტრო  ნაშრომი ეძღვნება პირველი ქართული მონეტების, „კოლხური თეთრის“ გავრცელების არეალის დღეისათვის არსებული სრული სურათის ჩვენებას.  მასში წარმოდგენილია „კოლხური თეთრის“ როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში, ისე,  საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და რეგიონალურ მუზეუმებში დაცული მონეტების აღმოჩენის ადგილები, აღმოჩენის გარემოებები, როგორც  დაგროვილი განძების, ისე ერთეული აღმოჩენების სახით.

კვლევა ორ მეთოდს ეფუძნება: პირველი: გამოქვეყნებული ლიტერატურის, მონოგრაფიებისა და სტატიების  დამუშავებას, რადგან უშუალოდ საქართველოში ყველა მუზეუმის ფონდის მონახულება და „კოლხური თეთრის“ აღწერა დაკავშირებული იყო დიდ დროსა და სხვადასხვა რთულ პროცედურებთან, გამოქვეყნებული ლიტერატურის დამუშავების  შედეგად მიღებული ინფორმაცია  იქნა გამოყენებული „კოლხური თეთრის“ ტოპოგრაფიის შესადგენად, ხოლო  მეორე

მეთოდმა მოიცვა უშუალოდ საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და რეგიონალურ მუზეუმებში, ნუმიზმატიკურ ფონდებში დაცული მონეტების უშუალო შესწავლა და აღწერა რის შემდეგაც კონკრეტული ინფორმაცია დატანილი იქნა რუკაზე და გამოყენებული იქნა „კოლხური თეთრის“ ტოპოგრაფიის შესაქმნელად. კვლევის დროს მუზეუმებში გამოვლინდა ისეთი მონეტებიც, რომელიც არ არის შესწავლილი და გამოქვეყნებული. „კოლხური თეთრის“ მონაცემების შეგროვება და რუკაზე დატანა მთელი საქართველოს მასშტაბით, ვფიქრობ სერიოზულ დახმარებას გაუწევს არა მხოლოდ ნუმიზმატებს, არამედ საქართველოს ისტორიის მკვლევარებს და შესაძლოა სერიოზული წვლილი შეიტანოს მომავალში „კოლხური თეთრის“ გენეზისის საკითხის შესწავლაში.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** კოლხური თეთრი, მონეტა, ფული, ნუმიზმატიკა, მუზეუმი, ტოპოგრაფია, არქეოლოგია, ისტორია, რუკა.

# Abstract

The main sources for the study of numismatics are coins and coin hoards. This scientific discipline also has some advantages, since coin minting is an act performed by the state, and therefore the coin is an accurate legal source that can provide unmistakable information. To restore the full picture of the history of Georgia, it is necessary to study in detail all the coins that have ever reached the territory of Georgia. By identifying the location and circumstances of their discovery, in particular the area (topography) of the distribution of a coin, science receives information that helps it solve a number of cardinal issues in the future. In particular, the topography of specific coins play an important role in restoring the economic and political picture of the country.

Presented master's work is devoted to displaying a more or less complete picture of the distribution site of the first Georgian coins, " Kolkhuri Tetri ". It presents places of discovery of coins stored in the scientific literature "Kolkhuri Tetri", as well as in the Georgian National Museum and regional museums, the circumstances of the discovery in the form of accumulated treasures and units.

The study is based on two methods: First: processing published literature, monographs and articles, because a visit to all the museum's collections in Georgia and a description of the "Kolkhuri Tetri" were associated with a long time and various complex procedures. For compilation. Second method included the study and description of coins stored in numismatic funds directly in the Georgian National Museum and regional museums, after which specific information was compiled and used to create a topography of „Kolkhuri Tetri". The study also revealed coins that were not studied and published in museums. I think that collecting data from Kolkhuri Tetri and putting it on a map of the whole of Georgia will help not only numismatists, but also researchers of the history of Georgia and can make a significant contribution to the study of the genesis of „Kolkhuri Tetri" in the future.

**Keywords:** Kolkhuri tetri, coin, money, numismatics, museum, topography, archeology, history, map.

# მადლობა

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას არა ერთმა ადამიანმა გამიწია კვალიფიციური დახმარება და ღირებული რჩევები მომცა. პირველ რიგში მინდა მადლობა გადავუხადო სამეცნიერო ხელმძღვანელს, ისტორიის დოქტორს მაია პატარიძეს, რომელიც დამეხმარა საკვლევი თემის შერჩევაში და გამიწია კოორდინაცია როგორც საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან, ასევე რეგიონალურ მუზეუმებთან. მადლობას ვუხდი „საქართველოს ეროვნულ მუზეუმის“ და „ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმის“ თანამშრომლებს, რადგან მათ უფლება მომცეს მემუშავა სამუზეუმო ფონდებში უშუალოდ მონეტებთან რაც ჩემთვის, როგორც ნუმიზმატიკით დაინტერესებული მაგისტრანტისთვის ძალიან საჭირო და სასარგებლო იყო. ასევე დიდი მადლობა კვლევით ცენტრს „კულტურული მემკვიდრეობა და გარემო“ რომლის დახმარებითაც შეიქმნა რუკა რომელზეც დატანილი იქნა „კოლხური თეთრის“ აღმოჩენის ადგილები.

უღრმეს მადლობას მოვახსენებ ყველა იმ ადამიანს ვინც თავისი ღირებული რჩევების მოცემა არ დაიზარა და პატარა წვლილი შეიტანა ამ კვლევის განხორციელებაში. ასევე მადლობას ვუხდი ყველა იმ ადამიანს ვინც ჩემს ნაშრომს დროს დაუთმობს და გულდასმით წაიკითხავს.